

”შეთანხმებულია”

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე



ლევან ჯაფარიძე

”30” იანვარი 2015 წ.

”ვამტკიცებ”

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო
ინსტიტუტის დირექტორი



ნუკოლოზ ჩიხრაძე

”30” იანვარი 2015 წ.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის

2014 წლის სამეცნიერო საქმიანობის

ანგარიში

2015 წელი

თბილისი

2014 წელს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ფუნქციონირებდა 4 სამეცნიერო განყოფილება და 1 სამეცნიერო ცენტრი:

1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილება, რომელშიც გაერთიანებულია 3 ლაბორატორია:
 - ა) მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია;
 - ბ) საბადოთა დამუშავების ლაბორატორია;
 - გ) კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორია.
2. აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილება, რომელშიც ასევე 3 ლაბორატორიაა გაერთიანებული:
 - ა) აფეთქებადი მასალების კვლევის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორია;
 - ბ) მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია;
 - გ) აფეთქებისგან დაცვის ტექნოლოგიების ლაბორატორია.
3. ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილება;
4. ანალიზური ქიმიის და წიაღისეულის გამდიდრების განყოფილება;
5. საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრი.

ინსტიტუტის ძირითადი პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება 117 სამტატო ერთეულით. მათ შორის სამეცნიერო პერსონალისა – 31; აქედან, 10 მთავარი მეცნიერ თანამშრომელია, 7 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და 14 მეცნიერ თანამშრომელი. სამეცნიერო განყოფილებებში მუშაობს 35 წლის ასაკამდე 5 თანამშრომელი, მათგან 2 დოქტორია და 3 მაგისტრი (4 მეცნიერ თანამშრომელი და 1 ინჟინერი); ახალგაზრდა თანამშრომელები არიან სამეცნიერო პროექტების მენეჯერი და საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის უფროსი.

ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან ორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრია.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში 2014 წელს საბაზო (საბიუჯეტო) დაფინანსების ფარგლებში შესრულდა 9 სამუშაო და 8 საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; 2014 წელს ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული იქნა 47 ნაშრომი: 37 საქართველოში და 10 უცხოეთში; აქედან 1 სახელმძღვანელოა;

საანგარიშო 2014 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი კვლევების შედეგები წარმოადგინეს 13 საერთაშორისო კონფერენციაზე, კონგრესსა და სემინარზე.

2014 წელს სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ჩაატარა 19 სხდომა, რომლებზედაც განხილული იყო სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: საბიუჯეტო თემების კვარტალური და წლიური ანგარიშები, ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში, მეცნიერ თანამშრომელთა თვითანგარიშები, ინსტიტუტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ინსტიტუტის სტრუქტურისა და სამტატო განრიგის პროექტები, ინსტიტუტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2015-2018 წ.წ.), სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ

კონკურსზე წარსადგენი პროექტები, 2015 წლის საბიუჯეტო განაცხადები და სხვა საკითხები.

2014 წლის 26 დეკემბერს გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ჩატარდა აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სამთო საქმისა და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები“.

* სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილება

განყოფილების უფროსი - ლ.ჯაფარიძე, ტ.მ.დ.

* მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია

ლაბორატორიის ხელმძღვანელი: ლ.ჯაფარიძე, ტ.მ.დ.

* ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:

1. გ.აბაშიძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტ.მ.დ.;
2. თ.გობეჯიშვილი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტ.მ.კ.;
3. ს.დემეტრაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ღია წესით გაყვანილი მიწისქვეშა ნაგებობების ბუნებრივ და ხელოვნურ სეისმურ დატვირთვებზე სტატიკური და კონსტრუქციული გაანგარიშების ანალიზური აპარატის და კომპიუტერიზებული მოდელის შექმნა	ლ.ჯაფარიძე ნ.კუკულაძე	გ. აბაშიძე თ. გობეჯიშვილი თ. ფირცხალავა მ. ბასილაძე ს. დემეტრაშვილი ლ. ლლიღვაშვილი დ. წვერავა
<p style="text-align: center;"><u>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</u></p> <p>დიდ სიღრმეებზე სამთო წესით გაყვანილ გვირაბებთან შედარებით, მიწის ზედაპირთან ახლოს განლაგებული ღია წესით აშენებული გვირაბები მეტად ზიანდება მიწისძვრის სეისმური ზეგავლენისაგან. ლიტერატურულ წყაროებში აღწერილი ავარიების მრავალი მაგალითი ადასტურებს, რომ მიწისქვეშა ნაგებობებზე ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის მიწისძვრების სეისმური ზეგავლენების შეფასების თეორია, გაანგარიშების და დაპროექტების მეთოდოლოგია კვლავაც რჩება აქტუალურ სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემად.</p> <p>ჩატარებულია გვირაბების სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშების მსოფლიო გამოცდილების და კონკრეტული მეთოდების ანალიზი. დამუშავებულია მიწის</p>			

ზედაპირიდან დიდ და მცირე ჩაღრმავების სატრანსპორტო, კომუნალური, სამხედრო და სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშების ორიგინალური მეთოდები.

მიღებულია ღია წესით გაყვანილი ერთ და ორმალიანი სწორხაზოვან ელემენტებიანი ხისტი ჩარჩოვანი ტიპის მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშების ანალიზური აპარატი მის კედლებზე მიწისძვრის სეისმური ტალღებით წარმოშობილ სამკუთხა დატვირთვებზე და გადაადგილებებზე. შექმნილია მათი გაანგარიშების ალგორითმები კომპიუტერული პროგრამა EXCEL - თვის და ჩატარებულია მათი გამოცდა კონკრეტულ რიცხვით მაგალითებზე.

*** პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ჯაფარიძე	ღია წესით გაყვანილი ორმალიანი გვირაბის სტატიკური გაანგარიშება. "სამთო ჟურნალი"	№1(32), 2014	თბილისი	3
ანოტაცია					
სტატიაში მოცემულია მიწის ზედაპირთან ახლოს ღია წესით გაყვანილი მართკუთხა კვეთის ორმალიანი ჩარჩოს სტატიკური გაანგარიშების ანალიზური აპარატი. სამუშაო სტიმულირებულია აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური სახელმძღვანელოთი, რომელშიც ღია წესით გაყვანილი გვირაბების გაანგარიშება რეკომენდირებულია ჩატარდეს ძალთა და გადაადგილებების მეთოდების გამოყენებით.					
2	ლ.ჯაფარიძე	Static Analysis of a Double-Chamber Tunnel built Using Cut and Cover Construction. Bulletin of Georgia National Academy of Sciences.	Vol.8, №1, 2014	თბილისი	4
ანოტაცია					
განხილულია მიწის ზედაპირთან ახლოს ღია წესით გაყვანილი გვირაბის მუშაობა შემცველი ქანების და კონსტრუქციის საკუთარი წონით გამოწვეულ დატვირთვებზე. მოცემულია სწორხაზოვან ელემენტებიანი ორმალიანი ჩარჩოს სტატიკური გაანგარიშების ანალიზური აპარატი, მიღებული ძალთა და გადაადგილებების კლასიკური მეთოდებით.					
3	ლ.ჯაფარიძე	საქართველოს სამეცნიერო სისტემის განვითარების პრობლემები. გაზეთი:	№70, 2014 წ.	თბილისი	-

		”საქართველოს რესპუბლიკა”			
4	ნ.ჩიხრაძე გ.აბაშიძე გ.ბალიაშვილი გ.ფხალაძე დ.წვერავა	Hybrid Fiber Reinforced Polymer Composites for Lightweight Structures. კონფერენციის მასალები	თბილისი, საქართველო 2014 წ. გვ: 306-315.	მე-2 საერთაშორისო კონფერენცია: ”Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas”,	9
<u>ანოტაცია</u>					
სტატიაში განხილულია ბოჭკოებით (მინა, ბაზალტი, ნახშირბადი) გაძლიერებული პოლიმერული კომპოზიტების გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვა დანიშნულების მსუბუქი კონსტრუქციების შესაქმენლად.					
5	გ.აბაშიძე ნ.ჩიხრაძე ფ.მარკუსი ა.გიგინეიშვილი მ.ჩიხრაძე	Syntheses of bulk nanostructured materials in dynamic conditions კონფერენციის მასალები	20-24 ოქტომბერი 2014 წ. გვ: 25. თბილისი	მე-3 საერთაშორისო კონფერენცია: „ნანოტექნოლოგიები“	1
<u>ანოტაცია</u>					
აღწერილია ავეთქების ტექნოლოგიით მიღებული ნანოსტრუქტურული მასალების კვლევის შედეგები.					

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.აბაშიძე ნ.ჩიხრაძე გ.ფხალაძე დ.წვერავა	The properties of basalt rocks of Georgian deposits and the fibers obtained from them. კონფერენციის მასალები	Vol. II pp. 393-400.	Processing of 14th International multidisciplinary scientific geoconference & expo SGEM 2014 Bulgaria 17-26 June, 2014	7
<u>ანოტაცია</u>					
გამოკვლეულია ბაზალტის ქართული ნედლეულის ტექნოლოგიური თვისებები და შესწავლილია ბაზალტის ბოჭკოს ხანგამძლეობა (სიმტკიცის დროითი დამოკიდებულება).					

2	გ.აბაშიძე ნ.ჩიხრაძე	Composite Materials Reinforced by Basalt and Carbon Hybrid Fibers კონფერენციის მასალები	2014 წ.	TMS აშშ	
ანოტაცია					
შესწავლილია ბაზალტისა და ნახშირბადის ჰიბრიდული ბოჭკოებით არმირებული კომპოზიტების სიმტკიცისა და ხანგამძლეობის მახასიათებლები. დატვირთვის, მისი მოქმედების დროის და ტემპერატურის ერთობლივი გავლენის გამოსავლენად გამოყენებულია გოლდვეინის ე.წ. პარამეტრული მეთოდი.					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ს.დემეტრაშვილი	მიწისქვეშა ნაგებობების ვენტილაციის ზოგიერთი პრობლემების შესახებ	26 დეკემბერი, 2014 წ. თბილისი აკადემიკოს არჩილ ძიმიგურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია
მომხსენების ანოტაცია			
<p>მომხსენებაში განხილულია მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტებისა და მონტაჟის წესები.</p> <p>თანამედროვე მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებიც გათვლილი არიან გრძელ ვადებზე (100 და მეტ წელზე) უნდა აკმაყოფილებდნენ ექსპლუატაციის საიმედობის, ხანგრძლივობის და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნილებებს.</p> <p>ნათელია, რომ ხალხის ნორმალური მუშაობისათვის მიწისქვეშა ნაგებობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად არჩეულ ვენტილაციის სისტემას და მის შესაბამის აღჭურვილობას.</p> <p>განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა მიექციოს მიწისქვეშა ნაგებობების ხანძრის უსაფრთხოების საკითხებს.</p> <p>მიწისქვეშა ნაგებობების ვენტილაცია უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს.</p>			

* საბადოთა დამუშავების ლაბორატორია

* ლაბორატორიის ხელმძღვანელი: ნ.კუკულაძე, ტ.მ.კ.

* ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:

1. თ.ფირცხალავა- მეცნიერ თანამშრომელი
2. მ.ბასილაძე - მეცნიერ თანამშრომელი
3. ლ.ღლიღვაშვილი -ტექნიკოსი

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

2014 წელს საბიუჯეტო დაფინანსებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო შესრულებულია მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორიასთან ერთად.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. კუკულაძე თ. ფირცხალავა	სეისმური დატვირთვის განსაზღვრა ამონაღების ფერდოს მდგრადობის გაანგარიშებისას. „სამთო ჟურნალი“	№2(33), 2014 წ.	თბილისი	4

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია ფერდოს სეისმური გაანგარიშების ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს მიწისძვრით გამოწვეული დინამიკური ძალების გამოთვლას და მათ გავლენას ფერდოს დაძაბულ მდგომარეობაზე. F_h ჰორიზონტალური და F_v ვერტიკალური ინერციული ძალები მოქმედებენ ფერდოს დაცურების პრიზმის გრუნტის მასების წონასთან ერთად და მათში გათვალისწინებულია სეისმურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სეისმურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ფსევდო-სტატიკური მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულია უსაფთხოების ფაქტორის მინიმალური სიდიდე ფერდოს დაცურების საწინააღმდეგო სტატიკური ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძალების გათვალისწინებით.

2	ა. ბეჟანიშვილი ნ. კუკულაძე	ტექნიკური უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები ფეთქებადი მასალები- ბის შენახვისას. „სამთო ჟურნალი“	№1(32), 2014 წ.	თბილისი	5
<u>ანოტაცია</u>					
სტატიაში მოცემულია ფეთქებადი მასალების სხვადასხვა ტიპის საწყობების საცავების ტევადობის რიცხვითი მაჩვენებლები, აგრეთვე ფეთქებადი მასალების მიღების, შენახვასა და გაცემასთან დაკავშირებული იმ საცავებისა და შენობების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება განლაგდეს ფეთქებადი მასალების საწყობის ტერიტორიაზე. განხილულია სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო დაწესებულებსა და ლაბორატორიებში ფეთქებადი მასალების შენახვის წესი.					
3	თ. ფირცხალავა	ფერდოს მდგრადობის გაანგარიშება სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით. „სამთო ჟურნალი“	№1(32), 2014 წ.	თბილისი	3
<u>ანოტაცია</u>					
ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ღია წესით მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისას სამეცნიერო-ტექნიკური გადაწყვეტილებები მოიცავენ ქვაბულის და ტრანშეის კედლების მდგრადობის უზრუნველყოფას საშიში პროცესებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია ქანების მასის დამვრით საკუთარი წონის ან სხვადასხვა ზემოქმედებით (ჰიდროდინამიკური, ვიბრაციული, სეისმური და სხვ.). სტატიაში მოცემულია <i>ks</i> კოეფიციენტის გაანგარიშების შედეგები მიწისძვრის ინტენსიურობის 6-9 ბალის ფარგლებში ცვლილებისას.					
4	დ. ჩომახიძე მ. ბასილაძე	საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების ტენდენციები. „სამთო ჟურნალი“	№1(32), 2014 წ.	თბილისი	5
<u>ანოტაცია</u>					
სტატიაში მოცემულია საქართველოში ნახშირისა და ნავთობის ექსპორტ-იმპორტის დონე და დინამიკა 2010-2013 წლებში, როგორც ღირებულებით, ისე ნატურალურ მაჩვენებლებში. წარმოდგენილია წინადადებები საქართველოში სამთო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.					
5	ა. ბეჟანიშვილი ნ. კუკულაძე	ტექნიკური უსაფრთხოების	№1(32), 2014 წ.	თბილისი	4

	მ. გოგრიჭიანი	მოთხოვნები სპეციალური საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას მიწის ზედაპირზე და წყალქვეშ. „სამთო ჟურნალი“			
<u>ანოტაცია</u>					
სტატიაში განხილულია საამფეთქებლო სამუშაოების წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე ნავთობის, გაზის და წყლის ჭაბურღილების მშენებლობისას.					
6	თ. ფირცხალავა	ქვაბულის ფერდოს გრუნტის დახრილი ანკერებით დამაგრე- ბის ტექნოლოგიის შესახებ. „სამთო ჟურნალი“	№2(33), 2014 წ.	თბილისი	6
<u>ანოტაცია</u>					
ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გრუნტის ანკერები შესაძლებელს ხდის, ღია წესით მიწისქვეშა ნაგებობათა აგებისას, ქვაბულების უსაფრთხო მოწყობას საქალაქო განაშენიანების შეზღუდულ პირობებში. მოცემულია გრუნტის ანკერების კლასიფიკაცია; განხილულია ანკერის კონსტრუქცია და გრუნტის ანკერის მოწყობის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, აგრეთვე დახრილი გრუნტის ანკერის კრანცის მეთოდით გაანგარიშების შედეგები.					
7	ა. ბეჟანიშვილი ნ. კუკულაძე ნ. ბოჭორიშვილი მ. გოგრიჭიანი	უსაფრთხო მანძილები საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისა და ფეთქებადი მასა- ლების შენახვისას. „სამთო ჟურნალი“	№2(33), 2014 წ.	თბილისი	6
<u>ანოტაცია</u>					
ნაშრომში განხილულია საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისა და ფეთქებადი მასალების შენახვისას უსაფრთხო მანძილების გაანგარიშების მეთოდიკა ადამიანებისათვის, შენობა-ნაგებობებისა და მექანიზმებისათვის, კერძოდ: ღია ადგილზე და წყალქვეშ საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, გვირაბების გაყვანისას, მიწის ზედაპირზე განლაგებულ ობიექტებზე სპეციალური საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას.					

* კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორია

* ლაბორატორიის ხელმძღვანელი: ლ.მახარაძე, ტ.მ.დ.

* ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:

1. ე.მემარიაშვილი -მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
2. დ.პატარაია - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
3. ვ.სილაგაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
4. მ.ჯანგიძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
5. გ.ნოზაძე -მეცნიერ თანამშრომელი;
6. ა.ქართველიშვილი -მეცნიერ თანამშრომელი;
7. ს.სტერიაკოვა -მეცნიერ თანამშრომელი;
8. მ.ლოსაბერიძე -მეცნიერ თანამშრომელი;
9. თ.კობიძე -ინჟინერი;
10. რ.მაისურაძე -ინჟინერი.

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ღია წესით მშენებარე მიწისქვეშა ნაგებობების სამშენებლო ქვაბულების და ფუნდამენტების ზედაპირული და გრუნტის წყლებისაგან დაცვის მეთოდოლოგიის დამუშავება	ლ.მახარაძე	ვ.სილაგაძე მ.ჯანგიძე ს.სტერიაკოვა მ.ლოსაბერიძე თ.კობიძე
<p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>საბიუჯეტო სამუშაოს ანგარიშში განხილული და გაანალიზებულია პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო, საცნობარო და ნორმატიული წყაროები. შერჩეულია სამშენებლო ქვაბულებში წყლის მოდინებისაგან დაცვის ძირითადი სქემები და ხერხები. ჩამოყალიბებულია ზოგადი მითითებები. გაანალიზებულია წყლის მოცილების საშუალებების ჰიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლის საფუძველზე გამოვლენილია რიგი ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია ახლებური მიდგომა. კერძოდ, დასაბუთებულია წყალამოსაღვრელი სისტემის ჰიდრავლიკური გაანგარიშებისას ამოსაღვრელ წყალში მყარი ნაწილაკების შემცველობის გათვალისწინების აუცილებლობა და მოცემულია სათანადო მეთოდოლოგია. ასევე ახლებური მიდგომაა წყალამოსაღვრელი სისტემების სარეგულაციო მოცულობების საანგარიშო მეთოდოლოგიაში, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ მაქსიმალური</p>			

ინტენსივობის წვიმის მონაცემებს, არამედ სხვადასხვა ინტენსივობის და ხანგრძლივობის წვიმის მონაცემების ანალიზის შედეგებს. სამუშაო დაედება საფუძვლად დარგობრივი ნორმატიული სახელმძღვანელოს დამუშავებას.			
2	მცირე ტვირთამწეობის საველე სატვირთო საბაგირო გზის ძირითადი კომპონენტების კონსტრუქციის დამუშავება	დ.პატარაია	დ. პატარაია გ.ნოზაძე ა.ქართველიშვილი რ. მაისურაძე
<p><u>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</u></p> <p>სამუშაოს ფარგლებში დამუშავდა მცირე ტვირთამწეობის საველე სატვირთო საბაგირო გზის ძირითადი კომპონენტების საბაზო კონსტრუქციები, ამასთან გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები და პირობები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საბაგირო გზის ტვირთამწეობა და წარმადობა; - საბაგირო გზის პროფილის გეომეტრია; - საბაგირო გზის კონსტრუქციული კვანძების მონტაჟის და ტრანსპორტირების სიადვილე და მობილურობა; - დაბალი თვითღირებულება და ექსპლუატაციის სიმარტივე. <p>თითოეული სახის ტიპურ კონსტრუქციას გააჩნია გეომეტრიული ზომების და სხვა ტექნიკური პარამეტრების რეგულირების შესაძლებლობა, რაც იძლევა საშუალებას ერთის მხრივ -ადვილად განვახორციელოთ კონსტრუქციათა ტრანსპორტირება, ხოლო მეორეს მხრივ -გავაადვილოთ საბაგირო გზის დაგეგმარება და მონტაჟი.</p> <p>სამუშაო შესრულებულია თანამედროვე საპროექტო - საკონსტრუქტორო პროგრამული გარემოს “Solid Works 12.0” მეშვეობით, რაც იძლევა შესაძლებლობას შესრულდეს სათანადო კვლევები და თანამედროვე საპროექტო მოთხოვნები.</p> <p>თითოეული დამუშავებული კვანძისათვის პროგრამულ გარემოში განხორციელდა პროექტირების პროცესი მიღებული სტანდარტის შესაბამისად სორტამენტის და გამოყენებული მასალის ფიზიკურ-მექანიკური მონაცემების გათვალისწინებით.</p>			
3	საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტები	ე.მემძარიაშვილი	ე.მემძარიაშვილი
<p><u>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</u></p> <p>სამუშაოს ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტები: საქართველოს საომარი მოქმედებების თეატრის მომზადება თავდაცვისათვის, კომუნიკაციის საკითხები, შეიარაღებული ძალების შეიარაღებაში იმ ტიპის შეიარაღების კომპლექსების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების ტაქტიკური ღონისძიებებით მართვას, ძალებისა და ჯარების ინფორმაციულ-კომუტაციური და ცენტრალიზებული პასუხისმგებლობების სრულფასოვანი მართვის სისტემის შექმნა, სამხედრო დარგის მეცნიერთა ქსელის გაფართოება და მათი კვლევების და შედეგების ადაპტაცია საქართველოს რეალობასთან, საქართველოს ტერიტორიის სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის საკითხები და სხვა.</p>			

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. მახარაძე	ჰიდროაერომექანიკის ჰიდრო და პნევმო-მანქანების საფუძვლები	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	436
ანოტაცია				
<p>განხილულია წვეთოვანი და გაზისებრი სითხეების ძირითადი ფიზიკური და მექანიკური თვისებები, მათი სტატიკის და დინამიკის საფუძვლები, მილსადენებში მოძრაობის რეჟიმები, მილსადენების ჰიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდები, სითხეების ნახვრეტებიდან და ნაცმებიდან გამოდინების საკითხები, სადაწნეო მილსადენებში ორფაზიანი ნაკადების მოძრაობა და სითხის ნაკადში მყარი სხეულების ფარდობითი მოძრაობა, ჰიდრავლიკური დარტყმა მილსადენში ერთფაზიანი წვეთოვანი სითხის და მრავალფაზიანი ჰიდროაერონარევეების მოძრაობისას, ჰიდრავლიკური მოდელირების საფუძვლები, აგრეთვე წვეთოვანი და გაზისებრი სითხეების მიწოდების და დაჭირხნის საშუალებების მუშაობის საფუძვლები და რეჟიმების ანალიზი. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოცემულია სხვადასხვა დანიშნულების მილსადენების ჰიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდები; ტუმბოების, ვენტილატორების, კომპრესორების შერჩევის საკითხები, რომელთა მუშაობა ეფუძნება ჰიდრავლიკისა და აეროდინამიკის ძირითად კანონებს და დებულებებს.</p> <p>სახელმძღვანელო განკუთვნილია ტექნიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტების სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან სპეციალურ დისციპლინებს წვეთოვანი და გაზისებრი სითხეების საინჟინრო პრაქტიკაში რეალურ პირობებში გამოყენებისათვის და კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. მახარაძე ნ. ხუნდაძე ვ. გეკაშვილი თ. სოხაძე	მრავალსაფეხურიან მაგისტრალურ გაზსადენებში არასტაციონარული პროცესების დროს წნევების ნაზარდზე მადემპფირებელი მოწყობილობების გავლენის ანალიზისათვის „სამთო ჟურნალი“	№1(32), 2014 წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	4

<u>ანოტაცია</u>					
<p>განხილულია მათემატიკური მოდელი მრავალსაფეხურიან მაგისტრალურ ნავთობსადენებში არასტაციონარული პროცესების დროს წნევების ნაზარდზე მადემპფირებელი მოწყობილობების გავლენის ანალიზისათვის. იგი ითვალისწინებს პროცესში მონაწილე ყველა ელემენტის, მილსადენში ტრანსპორტირებული თხევადი მასისა და ჰიდროდინამიკური ნაკადის პარამეტრებს, კერძოდ, მილსადენი მაგისტრალის გეომეტრიულ პარამეტრებს; იმ მასალას, რომლისგანაც დამზადებულია მილები და მათში ტრანსპორტირებული თხევადი მასის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს; მილსადენ მაგისტრალში ჩართულ ტუმბოების რაოდენობას, მათ მახასიათებლებს და მილსადენ მაგისტრალში ჩართვის ადგილებს; მადემპფირებელი მოწყობილობების მუშა ორგანოების გეომეტრიულ პარამეტრებს და იმ მასალების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, რომლისგანაც დამზადებულია ისინი. მოცემულია აგრეთვე რეკომენდაციები მათემატიკური მოდელის გამოყენებისათვის რეალური კონკრეტული პირობების შემთხვევაში მადემპფირებელი მოწყობილობის გამოყენებისას.</p>					
2	<p>ვ. სილაგაძე ლ. მახარაძე მ. ჯანგიძე</p>	<p>სს“მადნეულის“ ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ობიექტების წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის ჰიდრავლიკური ანალიზი „სამთო ჟურნალი“</p>	<p>№1(32), 2014 წ.</p>	<p>თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“</p>	4
<u>ანოტაცია</u>					
<p>განხილულია სს „მადნეული“ – სათვის შესრულებული პროექტის „წყალმომარაგების სისტემის სარეკონსტრუქციო ღონისძიებების დამუშავება“ ერთ-ერთი ძირითადი საკითხის – ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ობიექტების წყალმომარაგების სარეკონსტრუქციო სისტემის ჰიდრავლიკური ანალიზი. კერძოდ, წინასწარ განსაზღვრული ცალკეული მომხმარებლის სუფთა წყალზე მოთხოვნილების მიხედვით შემუშავებულია წყლის მიწოდების რაციონალური სქემა, რომელიც მოიცავს ქსელის შერჩეულ უბნებზე გასატარებელი ხარჯების მიხედვით პლასტმასის მილების დიამეტრების შერჩევას ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით და მათი ოპტიმალური სარეჟიმო პარამეტრების განსაზღვრას.</p>					
3	<p>ლ. მახარაძე ა. ტაველიშვილი</p>	<p>მრავალსაფეხურიან ჰიდროსატრანსპორტო სისტემის მილსადენ მაგისტრალში მიმდევ- რობით ჩართული ტუმბოების რაოდენო- ბისა და მაგისტრალის გასწვრივ მათი განთავსების ადგილის განსაზღვრის ანალიზი „სამთო ჟურნალი“</p>	<p>№2(33), 2014 წ.</p>	<p>თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსი- ტეტი“</p>	7

<u>ანოტაცია</u>					
<p>მოცემულია მრავალსაფეხურიან ჰიდროსატრანსპორტო სისტემის მილსადენ მაგისტრალში მიმდევრობით ჩართული გრუნტის ტუმბოების რაოდენობისა და მაგისტრალის გასწვრივ მათი განთავსების ადგილის განსაზღვრის ანალიზი, რომელიც განსხვავდება დღემდე არსებული მეთოდებისაგან იმით, რომ ითვალისწინებს წნეების ცვალებადობას მაგისტრალში ტუმბოების ამუშავებისა და გაჩერებისას. ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ წნეების ცვალებადობა გარდამავალი რეჟიმების დროს მოხდეს მდოვრედ, მკვეთრად გამოხატული რხევების გარეშე, არ მოხდეს მიმდევრობით ჩართული ტუმბოების განთავსების ადგილებში ჰიდრონარევის ნაკადის მთლიანობის დარღვევა (გაწყვეტა) და არასტაციონარული პროცესების განვითარება, როდესაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წნეების მნიშვნელოვან ფარგლებში ცვალებადობას მთელ მაგისტრალში შესაბამისი არასასურველი შედეგებით.</p>					
4	ვ. სილაგაძე მ. ჯანგიძე ს. სტერიაკოვა	მდინარეების კალაპოტის გადაკეტვა ჰიდრომექანიზაციის გამოყენებით „სამთო ჟურნალი“	№1(32), 2014 წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსი- ტეტი“	4
<u>ანოტაცია</u>					
<p>განხილულია მდინარეების კალაპოტის გადაკეტვის სპეციფიკური საკითხები მშრალად მიწასათხრელი ტექნიკის (ბულდოზერების, სკრეპერების და სხვ.) და მიწისაწოვების გამოყენებისას; მოცემულია გადაკეტილი კალაპოტის შევიწოვების სქემები, მიწასაწოვებით ჰიდრონარევის (პულპის) მიწოდების ორიგინალური ხერხი და თეორიულად დასაბუთებულია ამ ხერხისა და სქემების გამოყენების დადებითი გავლენა გადაკეტვის პროცესზე.</p>					
5	დ.პატარია ე.წოწერია თ.ჯავახიშვილი გ.ნოზაძე გ.ჯავახიშვილი რ.მაისურაძე	ვანტური საბაგირო სისტემა და მისი გამოყენების შესაძლე- ბლობები საქალაქო და რეგიონულ ტრანსპო- რტად, აგრეთვე მილსა- დენით გაზისა და სითხეების ტრანსპო- რტირებისთვის; კონფერენციის შრომების კრებული;	2014	საერთაშორის. კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა- აზია“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2014, გვ. 227-233	8
<u>ანოტაცია</u>					
<p>წარმოდგენილია ძირითადად რუსთაველის ფონდისა და საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის ხელშეწყობითა და დაფინანსებით შესრულებული კვლევითი და საპროექტო სამუშაოების შედეგები. დამუშავებულია და განხილულია ვანტური საბაგირო სისტემის პრაქტიკულ რეალიზაციაზე ორიენტირებული კონსტრუქციები ორი ძირითადი მიმართულებით: მგზავრთა და ტვირთის ტრანსპორტირებისთვის და დიდმალიან</p>					

გადასასვლელზე გაზისა და ნავთობის მილსადენით ტრანსპორტირებისთვის. აღწერილია კვლევის შედეგად დამუშავებული მნიშვნელოვანი სიახლე - ვანტური საბაგრო გზის მოქნილი სავალი ნაწილი. კვლევის შედეგები გამოყენებულია და რეალიზებულია ავტორთა კოლექტივის მიერ დამუშავებულ მაგისტრალური გაზსადენის 300-მეტრიანი ვანტური გადასასვლელის პროექტში (დევდორაკი, ყაზბეგის რაიონი).

გაანგარიშებათა სისწორე და შედეგების საიმედოობა შემოწმებულია და დადასტურებულია ლაბორატორიულ მოდელზე ჩატარებული ცდებით და სტანდარტული და ორიგინალური ალგორითმითა და პროგრამული უზრუნველყოფით შესრულებული გამოთვლებით.

6	ო.ლანჩავა ნ.ბოჭორიშვილი გ.ნოზაძე მ. ჯანგიძე ნ.არუდაშვილი ს.დემეტრაშვილი	ხანძრით განპირობებული საგანგებო სიტუაციის მართვა ერთგვირაბიანი კომბინირებული სავენტილაციო სისტემის პირობებში „სამთო ჟურნალი“	№2(33), 2014 წ.	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	4
---	----------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------	------------------------------------------------------------------	---

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ერთგვირაბიანი სავენტილაციო სისტემის ნახევრად განივი და განივი სქემები და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ფაზები, რომლებიც თავს იჩენენ ხანძრისას. რიკოტის გვირაბის პირობებისათვის დადგენილია, რომ ადგილი აქვს ბუნებრივად და ანთროპოგენურად მიმდინარე პროცესების ნორმალური მსვლელობიდან გადახრის აკუმულაციას, ხოლო საგანგებო სიტუაციის პრევენციის ზომად შემოთავაზებულია განრიგის დაწესება საშიში ტვირთებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვამლისა და ტოქსიკური ნივთიერებების არინებისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისათვის სატრანსპორტო გვირაბში, ან მის არეალში მომხდარი ხანძრისას. გვირაბის სავენტილაციო სისტემის დამუშავების მიზნით მნიშვნელოვანია მისი ფუნქციური შესაძლებლობების დადგენა საგანგებო სიტუაციის სამართავად, როგორც ხანძრის საწყის სტადიაზე, ასევე სრული სიმძლავრის შემთხვევაში.

ნაშრომის შედეგები სასარგებლო იქნება გვირაბის დირექციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის.

7	დ.პატარაია მ. ჩორგოლა- შვილი	“თბილისის ფუნქციულიორი”	ენციკლო- პედია, ტომი III	თბილისი	1.5
8	დ.პატარაია ე.წოწერია ა.ქართველი- შვილი რ.მაისურაძე	ბაგირ- ღეროვანი სტრუქტურების მოდელირებისა და გაანგარიშების ზოგი საკითხი - მოხსენებათა თეზისები	8-10 ოქტომბე- რი 2014, თბილისი	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-5 ყოველწლიური კონფერენცია მოხსენებათა თეზისები	2

ანოტაცია

დისკრეტული მოდელის საფუძველზე განხილულია რთული ბაგირ-ღეროვანი

სტრუქტურის მოდელირებისა და გაანგარიშების ზოგი აქტუალური საკითხი. კერძოდ: სიმძიმის ველში განლაგებული თაროს ფორმის ორმხრივ ყრუდ ჩამაგრებული ბოლოთი ღეროს გაანგარიშება. შედეგების საიმედოობის შემოწმების მიზნით ეს ამოცანა გადაწყვეტილია აგრეთვე სასრულ ელემენტთა მეთოდზე დაფუძნებული სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის - „ლირა 9.6“- ის გამოყენებით. გარდა აღნიშნული ამოცანისა, ასევე ორივე მიდგომის საფუძველზე, გამოკვლეული და გაანგარიშებული იქნა რეალური რთული ბაგირ-ღეროვანი სტრუქტურა - ვანტური საბაგრო ხიდი. ჩატარებული კვლევების შედეგები, აგრეთვე ამ შედეგების შემოწმება ლაბორატორიულ სტენდზე იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შემოთავაზებული მიდგომა კონკურენტუნარიანია და პერსპექტიულია მსგავსი რთული ბაგირ-ღეროვანი სტრუქტურების (ობიექტების) მოდელირებისა და გაანგარიშებისას.

9	ე. მეძმარია-შვილი დ. პატარაია გ. ბალიაშვილი ე. წოწერია გ. ნოზაძე	კოსმოსური პარაბოლური ანტენის ზედაპირის მოდელირება და გათვლა დისკრეტული წარმოდგენის საფუძველზე - კონფერენციის შრომების კრებული	1-3 ოქტომბერი, 2014 წ. თბილისი	სამეცნიერო კონფერენცია “მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები”	7
---	------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------	----------------------------------------------------------------------------------	---

ანოტაცია

განხილულია კოსმოსში პარაბოლური ანტენის მოდელირებისა და გაანგარიშების საკითხი. წარმოდგენილია ორბიტაზე კომპაქტურად დაკეცილი რეფლექტორული ანტენის ამრეკლი ზედაპირის გაშლის ამოცანა. ანტენის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტები ისე უნდა იქნას გათვლილი, რომ გაშლის შემდეგ მაღალი სიზუსტით იქნეს მიღებული ამრეკლი ზედაპირის საკვანძო წერტილები.

ეს პრობლემა ამოხსნილია ბაგირ-ღეროვანი სისტემების დისკრეტული წარმოდგენის და სტანდარტული პროგრამების საშუალებით.

10	ო. ლანჩავა გ. ნოზაძე ნ. ბოჭორიშვილი ზ. ლებანიძე ნ. არუდაშვილი მ. ჯანგიძე	საავტომობილო გვირაბებში ხანძრის შედეგად წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შეფასების კრიტერიუმები - საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული	თბილისი 2014	“სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია” საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	7
----	-----------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------	---

ანოტაცია

შემოთავაზებულია სატრანსპორტო გვირაბებში ხანძრის შედეგად წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ხანძრის განვითარების სივრცით და დროით მასშტაბებს. ხანძრის განვითარების

სცენარები შესწავლილია კომპიუტერული მოდელირების გზით. პროცესების ანალიზი შესრულებულია CFD მოდელებით მიღებული შედეგების მიხედვით, რაც ჩვენი აზრით, შედარებით ნაკლები დანახარჯებით, სწრაფად ცვლადი სიტუაციების ადეკვატური პროგნოზის საშუალებას იძლევა. სატრანსპორტო გვირაბი წარმოდგენილია სივრცეში შეზღუდული გაბარიტების მქონე ერთი მიმართულებით გავრცობილი რთული საინჟინრო ნაგებობის სახით, სადაც კონცენტრირებულია სატრანსპორტო ნაკადი. ეს გარემოება განაპირობებს გვირაბში წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის მართვის სპეციფიკურ ბუნებას - მართვას შეზღუდულ სივრცეში. ნაშრომში განხილულია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენის საკითხი, ვინაიდან მისი აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს. დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ხანძრის სახიფათოობა დახასიათებულია ხანძრის განვითარების სივრცითი ზონების მიხედვით, რომლებიც ხასიათდება სათანადო დროითი მასშტაბით, ხანძრის პროცესის მაღალი დინამიკურობისა და თანმდევი ტურბულენტური პროცესების პირობებში. ხიფათის შემცველი ზონების დადგენა ხდება ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა: ხანძრის ლოკალიზაციის ადგილი, ხანძრის სიმძლავრე, წვის სიჩქარე, ტემპერატურა, კვამლისა და წვის სხვა ტოქსიკური პროდუქტების მოცულობა და მათი კონცენტრაცია.

11	გ.ნოზაძე მ. ლოსაბერიძე ნ. ხომასურიძე	წრფივი დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ეკვივალენტური წარმოდგენა რამოდენიმე შედარებით მარტივი სასაზღვრო ამოცანის სუპერპოზიციით მოხსენებათა თეზისები	8-10 ოქტომბერი 2014, თბილისი	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია - მოხსენებათა თეზისები	2
----	--------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------	---

ანოტაცია

როგორც ცნობილია, წრფივი დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ინტეგრება და ანალიზურ ამონახსნთა მიღება ზოგადი დასმის შემთხვევაში ვერ ხერხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წრფივი დრეკადობის თეორიის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს სასაზღვრო ამოცანების კლასი, რომელთათვისაც განსახილველი სასაზღვრო ამოცანა შესაძლებელია წარმოდგეს, რამოდენიმე შედარებით მარტივად გადასაწყვეტი ამოცანების ეკვივალენტური სუპერპოზიციის სახით.

ნაშრომში ორ განზომილებიანი წრფივი დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანის მაგალითზე მოცემულია ეკვივალენტურ სასაზღვრო ამოცანათა სუპერპოზიციის სახით წარმოდგენის შესაძლებლობა. დადგენილია ამისათვის აუცილებელი მოთხოვნები დასმულ და სუპერპოზიციაში შემავალ ამოცანების სასაზღვრო პირობებისათვის.

12	ო. ლანჩავა გ. ნოზაძე ნ. ბოჭორიშვილი	საავტომობილო გვირაბში ძლიერი ხანძრის მიერ	N 1(32) 2014 წ. გვ. 86 - 89	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური“	4
----	-------------------------------------------	-------------------------------------------	-----------------------------------	-----------------------------------------	---

	ზ. ლებანიძე ნ. არუდაშვილი	გამოწვეული საფრთხის ანალიზი „სამთო ჟურნალი“		უნივერსიტეტი	
<p style="text-align: center;"><u>ანოტაცია</u></p> <p>სტატიაში მოცემულია სატრანსპორტო გვირაბში ძლიერი ხანძრით გამოწვეული საშიშროების შეფასებითი ანალიზი. განხილულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ხანძრის პირობებში საევაკუაციო პერიოდის გაანგარიშებაზე. ნაჩვენებია საევაკუაციო პერიოდის დამოკიდებულება ხანძრის სიმძლავრეზე, ლოკალიზაციის სივრცით პარამეტრებზე და მისი განვითარების აღმავალი ფაზის ხანგრძლივობაზე. აღნიშნულია, რომ საევაკუაციო დროის შუალედი პრაქტიკულად ვერ გადააჭარბებს ხანძრის აღმავალი ფაზის ხანგრძლივობას, ამასთან ადგილი ექნება საევაკუაციო პერიოდის შემცირების ტენდენციას ტოქსიკური აირებისა და ატმოსფერული ჰაერის გაბატონებულ ზონებში ტურბულენტური დიფუზიური პროცესების განვითარების გამო.</p>					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.მახარაძე მ.ლოსაბერიძე ს.სტერიაკოვა	ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამა სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის მექანიკური პნევმატიკური დემპფერების მუშა და კონსტრუქციული პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრისათვის	8-10 ოქტომბერი, თბილისი საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია
<p style="text-align: center;"><u>მოხსენებათა ანოტაციები</u></p> <p>მოხსენებაში განხილულია ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამა სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის მექანიკური-პნევმატიკური დემპფერების მუშა და კონსტრუქციული პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრისათვის, რომელიც ეფუძნება ჰიდროაერომექანიკის და დრეკადობის თეორიის ძირითად კანონებს და ითვალისწინებს ჰიდროსატრანსპორტო სისტემის ჰიდროდინამიკურ პარამეტრებს დამყარებული და დაუმყარებელი რეჟიმების დროს, პროცესში მონაწილე ყველა კომპონენტის და ელემენტის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და გეომეტრიულ პარამეტრებს.</p>			
2	ვ. სილაგაძე ლ. მახარაძე მ. ჯანგიძე	ჭიათურის მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სქემების	26 დეკემბერი, თბილისი აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის

		ანალიზი	დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია
<u>მოხსენების ანოტაცია</u>			
<p>მოხსენებაში განხილულია ჭიათურის მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების ტრანსპორტირებასთან და დასაწყობებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება, როგორც წარსულს, ისე მომავალს. გაანალიზებულია გასულ წლებში არსებული სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ჰიდრომექანიზებული ტექნოლოგია. მას გააჩნდა ისეთი უარყოფითი მხარეები, რომლებმაც განაპირობა მისი არაქმედითობა – მუშაუუნარობა, რის გამოც შეუძლებელი გახდა ნორმალურად ფუნქციონირება. შექმნილი სიტუაციის შესწავლა, მისი გაანალიზება და ახალი რეკომენდაციების შემუშავება სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით დაევალა სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს აკადემიკოს არჩილ ძიმიგურის ხელმძღვანელობით. კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცა სამთავრობო კომისიას, რომლებიც საფუძვლად დაედო არსებული სქემის რეკონსტრუქციის პროექტს, რომელიც შეადგინა „უკრვოდოკანალპროექტმა“. რეკონსტრუირებულმა სქემამ საკმაოდ ეფექტურად იმუშავა 1992 წლამდე. ამის შემდეგ სისტემამ ფუნქციონირება შეწყვიტა და დღესდღეობით მანგანუმის განდიდრების ნარჩენები კვლავ ყვირილაში ჩაედინება, რაც ეკოლოგიურად ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. ამჟამად ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის აშენებასთან დაკავშირებით, რომლის დამპროექტებელი და მშენებელია გერმანული ფირმა „ალიმინერალი“, კვლავ დადგა მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების ტრანსპორტირების და დასაწყობების საკითხები. ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში განხილულია რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მომავალში, რათა არ მოხდეს დაშვებული შეცდომების გამეორება და შეირჩეს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიკურად მაღალეფექტური საკუდე მეურნეობის კომპლექსი.</p>			
3	ლ.მახარაძე ა.ტაველიშვილი	სადაწნეო მრავალსაფეხურიანი მილსადენი ჰიდროსა- ტრანსპორტო სისტემების გაანგარიშებისა და დაპროექტების სრულყოფილი მეთოდოლოგია	22-24 ოქტომბერი, თბილისი, პოლონეთი -საქართველოს სამეცნიერო და ტექნიკური კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“
<u>მოხსენებათა ანოტაციები</u>			
<p>მოხსენებაში განხილულია მრავალსაფეხურიანი სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემის გაანგარიშებისა და დაპროექტების სრულყოფილი მეთოდოლოგია, რომელიც კომპლექსურად ითვალისწინებს როგორც დამყარებული, ასევე დაუმყარებელი რეჟიმების ყველა ფაქტორს, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ანალოგიური სისტემების ექსპლუატაციის უსაფრთხოება და აამაღლის მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. დამუშავებული მეთოდოლოგიის სამართლიანობა და უტყუარობა დადასტურებულია ექსპერიმენტული კვლევებით, რომლებიც ჩატარებული იყო როგორც ნახევრადსამრეწველო ლაბორატორიულ სტენდებზე, ასევე მსხვილ სამრეწველო ჰიდროსატრანსპორტო სისტემებზე.</p>			

4	<p>ლ.მახარაძე ლ.გავაშელი ს.სტერიაკოვა</p>	<p>სწორკუთხა ფორმის განივკვეთის მილსადენის მონაკვეთების გავლენის ანალიზი ჰიდროსატრ- ანსპორტო სისტემების მაგისტრალურ მილსადენებში განვითარებულ ჰიდროდინამიკურ პროცესებზე</p>	<p>24-26 ივნისი, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა. სატრანსპორტო მილსადენების მე-15 საერთაშორისო სიმპოზიუმი</p>
<p style="text-align: center;"><u>მოხსენებათა ანოტაციები</u></p> <p>ნაშრომში განხილულია ჩვენს მიერ დამუშავებული სწორკუთხა ფორმის (ან კვადრატული ფორმის) განივკვეთის მილსადენის მონაკვეთები სადაწნო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მაგისტრალურ მილსადენებში გარდამავალი რეჟიმების და არასტაციონარული პროცესების წნევების ნაზარდის დემპფირებისათვის, მათი კონსტრუქციული შესრულება, მათემატიკური მოდელი, ალგორითმი იმ პარამეტრების რაციონალური მნიშვნელობების გაანგარიშებისათვის, რომელებიც განაპირობებენ მაქსიმალურ ეფექტურობას, ანუ სრულად იქნება დემპფირებული წნევების ნებისმიერი ნაზარდი სისტემის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში, რაც იძლევა მდგრადობისა და საიმედოობის ამაღლების სრულ გარანტიას, რაც დამტკიცებული იქნა ნახევრადსამრეწველო ლაბორატორიულ დანადგარზე ჩატარებული კვლევის შედეგებით.</p>			

* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე
 შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	<p>ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის სამგზავრო და სატვირთო საბაგირო გზების ვაგონების, მზიდი ლითონკონსტრუქციების, საყრდენების, ფუნდამენტების, შენობა ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუ- ქციების დიაგნოსტიკური ექსპერტიზა</p>	<p>თ. ახვლედიანი</p>	<p>ა. ქართველიშვილი გ. აბაშიძე ნ. მუმლაძე</p>

2	შპს „ გუდაურის განვითარების სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული წრიული საბაგრო გზების „საძელე“ და „კუდები“ მზიდ საწვევი ბაგირების , მათი გადაბმის უბნებისა და სავარძლების ჩამაგრების ადგილების ვიზუალური ექსპერტიზა.	ა. ქართველიშვილი	ა.ქართველიშვილი შ. ნადირაძე
3	სამგზავრო და სატვირთო საბაგრო გზების ვაგონების, მზიდი ლითონკონსტრუქციების, საყრდენების, ფუნდამენტების, შენობა ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დიაგნოსტიკური ექსპერტიზის მეთოდოლოგიის დამუშავება	გ. აბაშიძე	გ. აბაშიძე ა. ქართველიშვილი

* სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილება

განყოფილების უფროსი - ს.ხომერიკი, ტ.მ.დ.

*ფეთქებადი მასალების კვლევისა და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორია

ლაბორატორიის ხელმძღვანელი: ს.ხომერიკი, ტ.მ.დ.

* ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:

1. რ.მიხელსონი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
2. ზ.კუჭუხიძე - მეცნიერ თანამშრომელი;
3. ა.აფრიაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი;
4. გ.ბახუტაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი;
5. გ.შატბერაშვილი - კონსულტანტი;
6. გ.თხელიძე -ინჟინერი;
7. ნ.აბესაძე -ინჟინერი.

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საბრძოლო მასალების უტილიზირებისას გამონთავისუფლებული დენტებისა და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე ეკოლოგიურად სუფთა, უალო ფეთქებადი ნივთიერებების შემუშავება	ს. ხომერიკი	რ. მიხელსონი დ. ხომერიკი ზ. კუჭუხიძე ა. აფრიაშვილი გ. შატერაშვილი გ. ბახუტაშვილი გ. თხელიძე
<p><u>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</u></p> <p>ანგარიში წარმოდგენილია 47 გვერდზე, შეიცავს: 11 ცხრილს, 9 ნახაზს და 9 სურათს. ანგარიშში მოცემულია უტილიზირებული დენტებისა და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე შექმნილი ახალი სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების ძირითადი მახასიათებლები და გამოყენების არე.</p> <p>საკვანძო სიტყვები: საბრძოლო მასალების უტილიზაცია, ბალისტიკა, პიროქსილინი, ამაალებელი, დამცავი, უალო.</p> <p>ახალი ფეთქებადი ნივთიერებების საფუძველზე შემუშავდა ე. წ. „მწვანე“ ფ.ნ., რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება არსებული ფეთქებადი ნივთიერებებისგან უსაფრთხოების უფრო მაღალი დონით, რაც გამოიხატება ნამსხვრევების გატყორცნისა და საჭაერო დარტყმითი ტალღის მოკლე მანძილზე გავრცელებაში. ჩატარდა კვლევები მიღებული „მწვანე“ ფ.ნ.-ის ბაზაზე მეთანისა და მტვრის აფეთქებით საშიშ გარემოში გამოყენებისათვის დამცავი, უსაფრთხო ფ.ნ. შექმნის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. მიღებულია დადებითი შედეგები, მაგრამ სააბოლოო დასკვნისათვის აუცილებელია მათი ტესტირება სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში.</p>			

*** პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. მიხელსონი	მოსაპირკეთებელი ქვის ბლოკების აფეთქებით მოპოვების ტექნოლოგია და აკადემიკოს	№2(33), 2014	თბილისი	3

		ა.ძიძიგურის როლი მის გავრცელებაში "სამთო ჟურნალი"			
<u>ანოტაცია</u>					
<p>ნაშრომში განხილულია გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტში 1965-1985 წწ. შემუშავებული მოსაპირკეთებელი ქვის ბლოკების აფეთქებით მოპოვების ტექნოლოგიის არსი, პარამეტრები და თავისებურებები. სამუშაოს ძირითადი ეტაპები სრულდებოდა წარმოებაში აფეთქების ენერჯის გამოყენების მკაცრი აკრძალვის პირობებში, რაც აბრკოლებდა ახალი ტექნოლოგიის გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით. მისი გამოყენების არეალის გაფართოებაში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ა.ძიძიგურს, რომლის მცდელობით მოხერხდა სათანადო სახელმწიფო ორგანიზაციების და სამეცნიერო ცენტრების კონსოლიდაცია მოქმედი სახელმწიფო სტანდარტის მოძველებული დებულებების გადასასინჯად.</p>					

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ს. ხომერიკი რ. მიხელსონი ზ. კუჭუხიძე გ. ბახუტაშვილი	უტილიზებული დენთების და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების შემუშავება	26 დეკემბერი, 2014 წ. თბილისი, აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია
<u>მოხსენებათა ანოტაციები</u>			
<p>მოხსენებაში მოცემულია უტილიზირებული დენთებისა და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე შექმნილი ახალი სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების ძირითადი მახასიათებლები.</p> <p>ჩატარებული კვლევების შედეგად დამუშავდა ახალი ფეთქებადი ნივთიერებების რეცეპტურები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ტექნოლოგიური და ეკოლოგიური მაჩვენებლებით. მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ბუნებრივ პირობებში.</p> <p>კვლევებმა ნაწილობრივ გადაწყვიტეს ღია სამთო სამუშაოებისათვის შედარებით იაფი და მაღალეფექტური ფეთქებადი ნივთიერებების შექმნის პრობლემა.</p>			
2	ს. ხომერიკი ა. აფრიაშვილი გ. თხელიძე	უტილიზებული დენთების და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე უალო „მწვანე“ ეკოლოგიურად შედარებით უსაფრთხო ფეთქებადი ნივთიერებების შემუშავება	26 დეკემბერი, 2014 წ. თბილისი, აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

მოხსენებათა ანოტაციები

ძირითად ამოცანას წარმოადგენს უტილიზირებული დენტებისა და მყარი სარაკეტო საწვავის ბაზაზე, როგორც ენერგომატარებლებზე, შეგვექმნა უალო ეკოლოგიურად შედარებით უსაფრთხო ფეთქებადი ნივთიერებები. უნდა აღინიშნოს ამ ტიპის ფეთქებად ნივთიერებებზე მოთხოვნილება ძალიან დიდია.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა საბრძოლო მასალების უტილიზაციისას გამონთავისუფლებულ პიროქსილინისა და ბალისტიკური დენტების ფეთქებადი მახასიათებლები. დადგინდა, რომ ამ მახასიათებლებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათი გრანულომეტრული შემადგენლობა.

ექსპერიმენტის დროს მუხტის მასა იცვლებოდა საშუალოდ 30 – 80 გრამის ფარგლებში. შლანგის მონაკვეთში თავსდებოდა გამოსაცდელი დენტის წონაკი. მუხტის გარსად გამოყენებული იყო პოლიმერული შლანგის ნაჭერი.

მუხტის დიფლიგრაციისას მასში წნევა თანდათანობით მატულობს, აღწევს გარკვეულ კრიტიკულ სიდიდეს, რის შედეგად ადგილი აქვს გარსის გახლეჩვას და შეკუმშული აირების დარტყმას სამუხტე კამერის კედლებზე, რაც იწვევს ქანის ფუგასურ რღვევას, რომელიც ხასიათდება წვრილი ფრაქციების გამოსავლიანობით, დამსხვრეული ქანის გადაყრის რადიუსის შემცირებით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა.შაპარი პ.კოპაჩი ნ.პროსანბეევი ნ.ჩიხრაძე რ.მიხელსონი ს.ხომერიკი	„რესურსდაზოგვა და მცირენარჩენიანობა - სამთო მომპოვებელი მრეწველობის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულება“. გამოქვეყნებულია ქ. მოსკოვში კონფერენციის მასალების კრებულში	XIII-ე საერთაშორისო კონფერენცია - „რესურსკვლავწარმოებადი მცირენარჩენიანი და ბუნებადამცავი წიაღის ათვისების ტექნოლოგიები“. ქ. თბილისი 2014 წლის 15 – 21 სექტემბერი.

*** მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია**

ლაბორატორიის ხელმძღვანელი: ე.ჩაგელიშვილი, ტ.მ.დ.

*** ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:**

1. ა.ფეიქრიშვილი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
2. მ.წიკლაური - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;
3. ბ.გოდიბაძე - მეცნიერ თანამშრომელი;
4. მ.გამცემლიძე - მეცნიერ თანამშრომელი;
5. მ.თუთბერიძე - ტექნიკოსი;
6. ა.დგებუაძე - ტექნიკოსი.

*** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	აფეთქებით შედუღების მეთოდით ჯავშანკასეტების ფილებისა და ფენოვანი ჯავშანფილების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება	ე.ჩაგელიშვილი	ა.ფეიქრიშვილი მ.წიკლაური ბ.გოდიბაძე მ.გამცემლიძე მ.თუთბერიძე ა.დგებუაძე
<p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>ჩატარებული ექსპერიმენტალური სამუშაოს საფუძველზე დადგენილია, რომ აფეთქების ენერჯის გამოყენებით შესაძლებელია კვარცის ქვიშის და ბორის კარბიდის გამოყენებით ჯავშანკასეტების ფილების დამზადება. შესწავლილია აფეთქების პროცესში ამ ფხვნილების შედუღებისა და დაწნების ოპტიმალური პარამეტრები. ასევე შესწავლილია არაერთგვაროვანი მასალების შედუღებისას მიღებული ზონის სტრუქტურა. დადგენილია, რომ დამზადებისას ჯავშანკასეტების ფილების გეომეტრიული ზომები არ არის შეზღუდული.</p>			

*** სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

